შენიშვნა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით ადვოკატ დ. ა.-ს საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2017 წლის 26 ივნისის #079/16 გადაწყვეტილება; ადვოკატ დ. ა-ს დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:
ციცინო ცხვედიანი - კომისიის თავმჯდომარე
გია ტაბლიაშვილი - კომისიის წევრი
ქეთევან უტიაშვილი - კომისიის წევრი
ნინო მიქიაშვილი - კომისიის წევრი
ნელი ვარდიაშვილი - კომისიის წევრი
გიორგი ტურაზაშვილი - კომისიის წევრი
ნათია კორკოტაძე - კომისიის წევრი
ინგა სეხნიაშვილი - კომისიის წევრი
თორნიკე ბაქრაძე – კომისიის წევრი
ხათუნა გრიგალაშვილი - კომისიის წევრი
ია გაბედავა - კომისიის წევრი
სულხან ონიანი - კომისიის წევრი

საჩივრის ავტორი - ბ. წ.; წარმომადგენელი: ი. ხ.
საჩივრის კოლეგიაში შემოსვლის თარიღი: 03.10.2016
საჩივრის რეგისტრაციის N079/16
საჩივარი შემოტანილია - ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ, /სიითი N/
საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ა.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2016 წლის 03 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ბ. წ.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. ა.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, ხოლო 2016 წლის 30 ნოემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ზეპირი განხილვისას საჩივრის ავტორმა დააზუსტა საჩივრის შინაარსი.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ დ. ა.-ს სამოქალაქო დავაზე საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით 2016 წლის აგვისტოს ბოლოს მიმართა. ადვოკატს ბ. წ.-ის, როგორც მოპასუხე მხარის, ინტერესები უნდა წარმოედგინა ბანკთან ურთიერთობასა და ხაშურის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში. საჩივრის ავტორის წინააღმდეგ ბანკს შეტანილი ჰქონდა სარჩელი, რომლითაც ითხოვდა ბ. წ.-ის უფლებამონაცვლედ, მემკვიდრედ ცნობას, თანხის დაკისრებას, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციას. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის თანახმა იყო გადაეხადა სესხის მხოლოდ ძირი თანხა, თუმცა ხანგრძლივვადიანი გადახდის გრაფიკით, ხოლო მოთხოვნას დარიცხული პროცენტების ნაწილში, არ ცნობდა, ვინაიდან ბანკი ითხოვდა სესხის ძირ თანხასთან ერთად მისი ძმის გარდაცვალების შემდეგ სამი წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო სარგებელსაც. მომჩივანის განმარტებით, არცერთ სასამართლო სხდომაზე, არც ბანკთან და მითუმეტეს არც ადვოკატთან ბინის გასხვისებაზე და ამონაგები თანხით სესხის დაფარვაზე მოლაპარაკება არ მიმდინარეობდა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ დ. ა.-ის საქმეში ჩართვამდე შესაგებელი სხვა ადვოკატმა დაუწერა და მანვე წარმოადგინა მომჩივანი პირველ მოსამზადებელ სხდომაზე. შესაგებლის თანახმად, მოპასუხე სასარჩელო მოთხოვნას ნაწილობრივ, სესხის ძირი თანხის ნაწილში ცნობდა. პირველი მოსამზადებელი სხდომა გადაიდო მორიგების მიზნით. ამის შემდეგ მომჩივანი დაუკავშირდა ადვოკატ დ. ა.-ს, რომელმაც აუხსნა, რომ მისი საქმე ხანდაზმული იყო და ბანკს ხანდაზმული სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნა ვერ ექნებოდა. საჩივრის ავტორმა შეცვალა ადვოკატი, რადგან მიიჩნია, რომ დ. ა. უკეთესად წარმოადგენდა მის ინტერესებს. ბ. წ.-ს ადვოკატისთვის საადვოკატო მომსახურების საზღაური საქმის დასრულების შემდეგ უნდა გადაეხადა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა კლიენტს არ აუხსნა, რომ თუ მოთხოვნა ხანდაზმული არ აღმოჩნდებოდა, მას სადაო ვალდებულების რა ნაწილი ექნებოდა რეალურად შესასრულებელი, კერძოდ ევალებოდა მხოლოდ სესხის ძირი თანხის გადახდა თუ სესხის თანხა დარიცხულ პროცენტებთან ერთად. საჩივრის ავტორმა პროცესზე არაერთხელ განაცხადა, რომ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხაზე მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ სამი წლის განმავლობში დარიცხული პროცენტების ნაწილში სარჩელს არ აღიარებდა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2016 წლის 08 სექტემბრის სასამართლო მთავარი სხდომის პირველ ნახევარში ადვოკატი მის ინტერესებს წარმოადგენდა, მან გააჟღერა პროცესზე ბანკის მიერ დაყენებული მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი, თუმცა ადვოკატი არ მსჯელობდა თანმიმდევრულად და სხდომის მეორე ნახევარში ადვოკატმა საკუთარი ინიციატივით სარჩელი სრულად ცნო. ადვოკატს კლიენტთან არ შეუთანხმებია სარჩელის სრულად ცნობის საკითხი, ეს მოქმედება კლიენტის ნებას და ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, თუმცა იმ დროს კლიენტი ვერ მიხვდა რა გააკეთა ადვოკატმა. ამავე სხდომაზე ადვოკატმა ასევე განაცხადა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარს ამბობდა და ყოველგვარი განმარტების გარეშე კლიენტს ისე მოაწერინა ხელი აღნიშნულ განცხადებაზე, რომ კლიენტისთვის უცნობი იყო თუ რას ნიშნავდა სარჩელის ცნობა, რა შედეგებს გამოიწვევდა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმა. საჩივრის ავტორმა მოგვიანებით გაარკვია თუ რა მოხდა სხდომაზე და აღნიშნულ საპროცესო მოქმედებებს რა შედეგი მოჰყვებოდა.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, დაირღვა მისი უფლებები, ვინაიდან ადვოკატი არ მოემსახურა კეთილსინდისიერად, იმოქმედა კლიენტთან შეთანხმების გარეშე, კერძოდ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ სარჩელის ცნობის გამო მოსარჩელის მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილდა, სასამართლო გადაწყვეტილება კი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა.

1.7 2017 წლის 22 მაისს ბ. წ.-ის წარმომადგენელმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა მარწმუნებლის ინტერესები და მხარი დაუჭირა საჩივარს.

1.8 2017 წლის 15 და 26 ივნისს ბ. წ.-ის წარმომადგენელმა ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობის სხდომაზე წარმოადგინა მარწმუნებლის ინტერესები და მხარი დაუჭირა საჩივარს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ დ. ა.-ს ბ. წ.-ის საჩივარი 2016 წლის 26 ოქტომბერს გაეგზავნა და ჩაბარდა. ადვოკატმა წერილობითი ახსნა–განმარტება არ წარმოადგინა. ეთიკის კომისიის აპარატი ადვოკატს დაუკავშირდა 22 დეკემბერს ტელეფონის ნომერზე: XXX XX XX XX და ჩააბარა შეტყობინება საპროცესო კოლეგიის სხდომის ჩანიშვის შესახებ. ადვოკატმა განმარტა, რომ წერილობით ახსნა–განმარტებას წარმოადგენდა 30 დეკემბერამდე, ასევე განაცხადა, რომ კოლეგიას შეეძლო მისი წერილობითი განმარტებით ეხელმძღვანელა და ზეპირი მოსმენის გარეშე განეხილა საქმე. ადვოკატს წერილობითი განმარტება არ წარმოუდგენია. 2017 წლის 11 იანვარს ეთიკის კომისიის აპარატი მეორედ ესაუბრა ადვოკატს, მისი განმარტებით ახსნა–განმარტებას წარმოადგენდა 16 იანვრამდე. ადვოკატს წერილობითი ახსნა–განმარტება არ წარმოუდგენია.

2.2 ადვოკატს დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილება ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ერთიან სიაში არსებულ მისამართზე: ქ. ხ., შ.-ს დ. 9/4. ადვოკატს გადაწყვეტილება ჩაბარდა 2017 წლის 11 აპრილს (საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტური CERXXXXXX). ადვოკატს ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა შეტყობინება 2017 წლის 15 მაისს სხდომის ჩანიშვნის შესახებ. ადვოკატი სხდომაზე არ გამოცხადებულა. ეთიკის კომისიის აპარატი შეეცადა ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაციის გზით დაკავშირებას სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ერთიან სიაში არსებულ ნომერზე: XXX XX XX XX, თუმცა ტელეფონი გამორთული იყო ქსელიდან. 15 მაისს ჩანიშნული სხდომა გადაიდო 22 მაისს. ადვოკატს 2017 წლის 16 მაისს ელექტრონული ფოსტით ერთიან სიაში არსებულ მისამართზე: X, ხოლო ფოსტით 17 მაისს გაეგზავნა შეტყობინება განხილვის სხდომაზე დაბარების შესახებ. შეტყობინება ადვოკატს პირადად ჩაბარდა 2017 წლის 19 მაისს (საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტური CERXXXXXX). ამ დროის განმავლობაში ადვოკატ დ. ა.-სთან სატელეფონო კომუნიკაცია შეუძლებელი იყო, ტელეფონი მუდმივად გამორთულია ქსელიდან. ადვოკატი არ გამოცხადებულა 2017 წლის 22 მაისს ჩანიშნულ სხდომაზე და არც რაიმე წერილობითი შუამდგომლობით მოუმართავს განხილვის კოლეგიისთვის.

2.3 ეთიკის კომისიის მთლიანი შემადგენლობის სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 15 ივნისს. ეთიკის კომისიის აპარატი შეეცადა ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაციის გზით დაკავშირებას სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ერთიან სიაში არსებულ ნომერზე: XXX XX XX XX, თუმცა ტელეფონი გამორთული იყო ქსელიდან. ადვოკატს 2017 წლის 06 ივნისს ფოსტით გაეგზავნა შეტყობინება ეთიკის კომისიის სხდომაზე დაბარების შესახებ. შეტყობინება ადვოკატს პირადად

ჩაბარდა 2017 წლის 07 ივნისს (საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტური CERXXXXXX). ამ დროის განმავლობაში ადვოკატ დ. ა.-სთან სატელეფონო კომუნიკაცია შეუძლებელი იყო, ტელეფონი მუდმივად გამორთულია ქსელიდან. ადვოკატი არ გამოცხადებულა 2017 წლის 15 ივნისს ჩანიშნულ სხდომაზე და არც რაიმე წერილობითი შუამდგომლობით მოუმართავს ეთიკის კომისიისათვის. 15 ივნისს ჩანიშნული სხდომა ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო 26 ივნისს. ადვოკატს კვლავ ფოსტით გაეგზავნა შეტყობინება ეთიკის კომისიის სხდომაზე დაბარების შესახებ, რომელიც პირადად ჩაბარდა 2017 წლის 20 ივნისს (საფოსტო გზავნილის ჩაბარების დასტური CERXXXXX). ადვოკატი არ გამოცხადებულა 2017 წლის 26 ივნისის სხდომაზე და არც რაიმე წერილობითი შუამდგომლობით მოუმართავს ეთიკის კომისიისათვის.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 2017 წლის16 მარტს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან დასტურდებოდა, რომ ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 08 სექტემბრის მთავარ სხდომაზე ადვოკატმა დ. ა.-მ მოპასუხე მხარის ბ. წ.-ის ინტერესების წარმოდგენისას სს ,,პ. ბ.-ის“ სარჩელის გამო მიმდინარე დავაში სრულად ცნო პ. ბ.-ის მოთხოვნები კლიენტთან შეთანხმების გარეშე, ასევე უარი განაცხადა ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე და თანმდევი სამართლებრივი შედეგების განმარტების გარეშე კლიენტს ხელი მოაწერინა აღნიშნულზე, ადვოკატის მიერ სავარაუდოდ დარღვეული იყო ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 ნაწილი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 36–ე მუხლით და 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

5.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის განმარტებებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1.1 ადვოკატი დ. ა. წარმოადგენდა ბ. წ.-ის ინტერესებს 2016 წლის აგვისტოს ბოლოს დადებული ზეპირი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად. აღნიშნული შეთანხმების

მიხედვით, ადვოკატს ბ. წ. უნდა წარმოედგინა ბანკთან ურთიერთობასა და ხაშურის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *2016 წლის 03 ოქტომბრის საჩივარი*
2. *2016 წლის 30 ნოემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომის ელ. ჩანაწერი*
3. *2017 წლის 22 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი*
4. *2017 წლის 26 ივნისის ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი*

5.1.2 2016 წლის 05 აგვისტოს სასამართლო მოსამზადებელ სხდომაზე ბ. წ.-ის ინტერესები წარმოადგინა მაია ხაჩიძემ. მოსამზადებელი სხდომა გადაიდო მხარეთა მორიგების მიზნით და ჩაინიშნა 2016 წლის 01 სექტემბერს. მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა. 2016 წლის 01 სექტემბერს მოსამზადებელ სხდომაზე ბ. წ.-ს წარმოადგენდა ადვოკატი დ. ა..

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *2016 წლის 03 ოქტომბრის საჩივარი*
2. *2016 წლის 30 ნოემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომის ელ. ჩანაწერი*
3. *2017 წლის 22 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი*
4. *2017 წლის 26 ივნისის ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი*
5. *2016 წლის 22 ივლისის შესაგებელი*
6. *ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 05 აგვისტოსა და 01 სექტემბრის სხდომის ოქმები*

5.1.3 2016 წლის 01 სექტემბერს ჩანიშნულ მოსამზადებელ სხდომაზე ადვოკატი დ. ა. უშვებდა მხარეთა შორის მორიგების შესაძლებლობას. მორიგების თაობაზე მოსამართლის მორიგ მოწოდებაზე ბ. წ. სასამართლო სხდომაზე მიუთითებდა, რომ 2016 წლის 20 აგვისტოს მან ბანკს მორიგების მიზნით მისთვის მისაღები პირობებით მიმართა წერილობით, თუმცა მოდავე მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა. ადვოკატის განმარტებით, ბანკის მიერ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუდიტის ჩატარებით მოპასუხე შეძლებდა ბანკისათვის შეეთავაზებინა მორიგებისათვის მისაღები თანხა. აუდიტის ჩატარების მიზნით, ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა მოსამზადებელი სხდომის გადადების შესახებ, სხდომა გადაიდო და ჩაინიშნა 08 სექტემბერს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2016 წლის 01 სექტემბრის სხდომის ოქმი საქმეზე NX/XXX-XX

5.1.4 სამოქალაქო საქმეზე NX-XXX-XX, მოსარჩელე - სს ,,პ. ბ.“, მოპასუხე - ბ. წ., დავის საგანი - ბ. წ.-ის უფლებამონაცვლედ, მემკვიდრედ ცნობა, თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების

რეალიზაცია, 2016 წლის 08 სექტემბრის მოსამზადებელ სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ - ბ. წ.-მ უარი თქვა მორიგებაზე, მოსარჩელეს - სს ,,პ. ბ.-ს“ სურდა მორიგება. მოსამზადებელი სხდომა გადაიზარდა მთავარ სხდომაში. ბ. წ. ასევე არ ეთანხმებოდა ბანკის მოთხოვნას, მისთვის, როგორც უფლებამონაცვლისთვის 32 000 (ოცდათორმეტი) აშშ დოლარის დაკისრების შესახებ. 08 სექტემბრის მთავარი სხდომის მეორე ნახევარში მოპასუხე ბ. წ.-ის ადვოკატმა დ. ა.-მ სარჩელი სრულად ცნო და ბანკის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. ადვოკატს შესვენება არ მოუთხოვია პოზიციის კლიენტისათვის შეთანხმების ან სარჩელის ცნობის თანმდევი სამართლებრივი შედეგების განმარტების მიზნით, ხოლო სხდომაზე ადვოკატისა და თავად ბ. წ.-ის განმარტებებიდან გამომდინარე ჩანს, რომ მათ შორის აღნიშნული პოზიცია სხდომამდე შეთანხმებული არ ყოფილა. სარჩელის ცნობის ინიციატივა სხდომის მიმდინარეობისას თავად მოსარჩელე მხარისგან, ბანკისაგან წამოვიდა, მას შემდეგ, რაც დაზუსტდა, რომ მორიგების პირობები ბ. წ.-ისთვის მისაღები არ იყო და მათ შორის მორიგება ვერ შედგა. 2016 წლის 22 ივლისს სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში მოპასუხე ბ. წ. სარჩელს ცნობდა მხოლოდ სესხის ძირი თანხის ნაწილში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *2016 წლის 03 ოქტომბრის საჩივარი*
2. *2016 წლის 30 ნოემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომის ელ. ჩანაწერი*
3. *2017 წლის 22 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი*
4. *2017 წლის 26 ივნისის ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი*
5. *2016 წლის 08 სექტემბრის სხდომის ოქმი საქმეზე NX/XXX-XX*
6. *2016 წლის 22 ივლისის შესაგებელი*

5.1.5 ადვოკატი დ. ა. არ იცნობდა ბ. წ.-ის წინა ადვოკატის მიერ სასამართლოში წარდგენილ შესაგებელს, არ იცნობდა კლიენტის პოზიციას აღნიშნულ შესაგებელთან მიმართებით. ადვოკატი დ. ა. საქმეში ჩაერთო საქმის მოსამზადებელ ეტაპზე, მისი ზეპირსიტყვიერი განმარტებები არსებითად განსხვავდებოდა საქმეში არსებული შესაგებლისგან, თუმცა ადვოკატს ბ. წ.-ის შესაგებელი არ დაუზუსტებია იმ პოზიციის შესაბამისად, რომელიც ადვოკატს თავიდან ჰქონდა საქმეზე. ამასთან, 08 სექტემბერს საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას ადვოკატმა არ განუმარტა კლიენტს სარჩელის ცნობის თაობაზე პოზიცია, თანმდევი სამართლებრივი შედეგი, სხდომის ოქმიდან ჩანდა, აგრეთვე ისიც, რომ სარჩელის ცნობასთან მიმართებით ადვოკატს კლიენტთან კომუნიკაცია ზეპირი მოსმენის გამართვამდე არ ჰქონია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *2016 წლის 03 ოქტომბრის საჩივარი*
2. *2016 წლის 30 ნოემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომის ელ. ჩანაწერი*
3. *2017 წლის 22 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი*
4. *2017 წლის 26 ივნისის ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი*
5. *2016 წლის 08 სექტემბრის სხდომის ოქმი საქმეზე NX/XXX-XX*

5.1.6 პაექრობის ეტაპზე ადვოკატი დ. ა. საკუთარი ინიციატივით, კლიენტთან შეთანხმების გარეშე აცხადებს, რომ მხარეები არ გაასაჩივრებენ გადაწყვეტილებას, რასაც საფუძვლად სარჩელის

სრულად ცნობა დაედო და ადვოკატი კლიენტთან ერთად აწერს ხელს განცხადებას გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *2016 წლის 08 სექტემბრის განცხადება გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ*

2. *2016 წლის 08 სექტემბრის სხდომის ოქმი საქმეზე NX/XXX-XX*

5 შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. ა.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. **სამართლებრივი შეფასება:**

6.1 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე–15 მუხლის მე–4 პუნქტის თანახმად, ,,შეტყობინება ადვოკატს ბარდება განმცხადებლის მიერ მითითებულ მისამართზე. თუ ამ მისამართზე ადვოკატთან დაკავშირება შეუძლებელია, შეტყობინება იგზავნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ მონაცემებში არსებულ ადვოკატის მისამართზე. ამ შემთხვევაში შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად, თუნდაც ადვოკატი აღარ იმყოფებოდეს ამ მისამართზე ან მან უარი განაცხადოს შეტყობინების ჩაბარებაზე." იმავე დებულების 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ,,2. ადვოკატის არასაპატიო მიზეზით ხელმეორედ გამოუცხადებლობა განხილვის კოლეგიის სხდომაზე არ აბრკოლებს საკითხის განხილვას." ადვოკატ დ. ა.-ს დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილება და განხილვის სხდომებზე დაბარების შესახებ შეტყობინებები პირადად აქვს ჩაბარებული. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა არც წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა და არც საქმის ზეპირ განხილვაში მიიღო მონაწილეობა განხილვის კოლეგიისა და ეთიკის კომისიის სხდომებზე.

6.2 ეთიკის კომისიამ შეისწავლა დისციპლინური საქმის მასალები, ჩაატარა ეთიკის კომისიის სხდომები და კომუნიკაციას შეეცადა ადვოკატ დ. ა.-სთან, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ინფორმირებული იყო მის წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინური წარმოების შესახებ, არ გამოცხადდა ეთიკის კომისიის სხდომაზე. ეთიკის კომისიამ ყველა გონივრული სტანდარტით იმოქმედა, რათა ადვოკატს ესარგებლა დისციპლინური სამართალწარმოების დროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს უფლებით და მის წინააღმდეგ წარდგენილ საჩივრებზე გამაქარწყლებელი მტკიცებულებებისა და პოზიციის წარდგენა შესძლებოდა. ეთიკის კომისიისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ადვოკატმა არ წარმოადგინა საკუთარი პოზიცია, არ გამოცხადდა სხდომებზე და ეთიკის კომისია უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ბ. წ.-ის საჩივარზე.

6.3 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან სს ,,პ. ბ.-ის“ სარჩელის გამო ხაშურის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე დავის 2016 წლის 08 სექტემბრის მთავარ სხდომაზე ადვოკატმა დ. ა.-მ მოცემულ დავაში მოპასუხე მხარის ბ. წ.-ის ინტერესების წარმოდგენისას, კლიენტთან შეთანხმების გარეშე, სრულად ცნო სს ,,პ. ბ.-ის“ მოთხოვნები, ასევე უარი განაცხადა ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე და თანმდევი სამართლებრივი შედეგების კლიენტისათვის განმარტების გარეშე, ბ. წ.-ს ხელი მოაწერინა განცხადებაზე გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ, ადვოკატმა დაარღვია შემდეგი ნორმები:

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინიდიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

6.4 ეთიკის კომისიის განმარტებით, კლიენტის მიერ ადვოკატისთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად შეასრულოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული იმ საპროცესო მოქმედებებისა, რომლებიც უშუალოდ მარწმუნებელმა უნდა განახორციელოს. ადვოკატმა კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს და არ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს კლიენტის ინტერესებს.

6.5 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილებაში N022/11 განმარტა: ,,ადვოკატის მიერ საქმისწარმოებისას კლიენტი უნდა იღებდეს მის საქმესთან დაკავშირებით არსებით გადაწყვეტილებებს, როგორიცაა: სასამართლოში სარჩელის შეტანა ან მასზე უარის თქმა, სარჩელის ცნობა და ა.შ.,ხოლო ადვოკატი უნდა იყოს მისი მრჩეველი და წარმომადგენელი.... ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას.“

6.6 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გაცემული მინდობილობის მიუხედავად, კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ადვოკატმა უნდა მიიღოს კლიენტთან შეთანხმებით და არა ერთპიროვნულად. ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით გაკეთებული განცხადებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და, როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება. ,,ადვოკატმა და კლიენტმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა და თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულნი კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც

შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნეს მოწონებული კლიენტის მიერ.“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 08 მარტის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N057/10)

6.7 ბ. წ.-სა და დ. ა.-ს შორის 2016 წლის აგვისტოს ბოლოს დაიდო ზეპირი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ადვოკატს ბ. წ., როგორც მოპასუხე მხარე, უნდა წარმოედგინა ბანკთან ურთიერთობასა და ხაშურის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში. მხარეთა შეთანხმებით, ბ. წ. ადვოკატს საადვოკატო მომსახურების საზღაურს დავის დასრულების შემდეგ გადაუხდიდა. მოსარჩელე სს ,,პ. ბ.-ს“ სარჩელში შემდეგი მოთხოვნები ჰქონდა დაყენებული: ბ. წ.-ის უფლებამონაცვლედ, მემკვიდრედ ცნობა, თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია.

6.8 ბ. წ.-ის სამოქალაქო საქმის NX/XXX-XX მასალებით დგინდება, რომ 2016 წლის 22 ივლისს სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში, რომელსაც მხოლოდ ბ. წ. აწერს ხელს, მოპასუხე სარჩელს ნაწილობრივ ცნობს. 2016 წლის 05 აგვისტოს სასამართლო მოსამზადებელ სხდომაზე ბ. წ.-ის ინტერესებს წარმოადგენს მაია ხაჩიძე. მოსამზადებელი სხდომა გადაიდო მხარეთა მორიგების მიზნით და ჩაინიშნა 2016 წლის 01 სექტემბერს. ბ. წ.-მ 20 აგვისტოს ბანკს მიმართა წერილობით, მაგრამ მოპასუხეს სესხის ძირი თანხის დაფარვით რამდენიმე წლიან გადახდის გრაფიკზე უარი უთხრეს, მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა.

6.9 2016 წლის 01 სექტემბერს სასამართლო მოსამზადებელ სხდომაზე ბ. წ.-ს წარმოადგენს ადვოკატი დ. ა.. აღნიშნულ სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ იგი 01 სექტემბერს ჩაერთო საქმეში, არც შესაგებელს იცნობს, არც საქმის მასალებს, ზოგადად იცის საქმე. ადვოკატის განმარტებით, მორიგება შესაძლებელი იყო სესხის ძირ თანხაზე, თუმცა მანამდე საჭირო იყო აუდიტის ჩატარება და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შეფასება. მორიგებისთვის მოპასუხეს უნდა სცოდნოდა მისაღები უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება. ადვოკატმა იშუამდგომლა აუდიტის ჩატარების მიზნით სხდომის გადადების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი კლიენტი სამკვიდროს არ მიიღებდა. აუდიტს მოპასუხე მხარე ჩაატარებდა. აუდიტის ჩატარება ადვოკატს აუცილებლად მიაჩნდა მორიგების პირობების განხილვამდე. მოსარჩელის განმარტებით, მორიგებისთვის აუდიტის დასკვნა არ სჭირდებოდათ, სამკვიდრო ქონება იპოთეკით იყო დატვირთული და გადაწყვეტილება აღსრულების შემთხვევაში მხოლოდ სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ სამკვიდრო ქონებაზე მიექცეოდა. ადვოკატის განმარტებით, სამკვიდროს ნაწილის მიღება სამკვიდროს მიღებას არ ნიშნავდა, გარდა ამისა სამკვიდრო ბ. წ.-ის მამას უნდა მიეღო. ბ. წ.-მ მოსამართლის მორიგების მორიგ მოწოდებაზე განაცხადა, რომ ბანკს მიმართა წერილობით, მაგრამ მორიგებაზე უარი უთხრეს. ბანკმა ბ. წ.-ს თვეში 500 (ხუთასი) აშშ დოლარის გადახდის პირობით შესთავაზა სადაო თანხის გადახდის გრაფიკი, მაგრამ იგი 500 (ხუთასი) აშშ დოლარის კი არა, ,,5 კაპიკის“ გადამხდელი არაა. ბ. წ.-ის განმარტებით, ბანკმა უნდა შესთავაზოს მორიგება ისეთ რეალურ თანხაზე, ისეთი გრაფიკით, რომ მან გადახდა შეძლოს. ბ. წ. უარს არ ამბობდა სესხის ძირი თანხის გადახდაზე, მაგრამ სჭირდებოდა გრძელვვადიანი გადახდის გრაფიკი (სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერი 14:28:46 სთ). ბანკის წარმომადგენლის განმარტებით, 10 წლიანი გადახდის გრაფიკი მათთვის მიუღებელი იყო. ადვოკატმა დ. ა.-მ განმარტა, რომ მოსარჩელეს აუდიტის დასკვნიდან გამომდინარე შესთავაზებდნენ მორიგების თანხას. 2016 წლის 01 სექტემბრის მოსამზადებელი სხდომა გადაიდო ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე.

6.10 2016 წლის 08 სექტემბრის სასამართლოს მთავარი სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერიდან დგინდება, რომ ბ. წ.-მ უარი თქვა მორიგებაზე, მოსარჩელეს - სს ,,პ. ბ.-ს“ სურდა მორიგება. ბანკმა ბ. წ.-ს შესთავაზა თანხის გადახდის 5 წლიანი გრაფიკი. ბ. წ.-მ განმარტა, რომ ის ვერ შეძლებდა 5 წლის განმავლობაში სესხის თანხის გადახდას, თუმცა მნიშვნელოვანი იყო ყოველთვიური შესატანი თანხის ოდენობა. ბ. წ.: ,,კაცი 3 წელია მკვდარია, ვის 32 000 (ოცდათორმეტი ათასს) აშშ დოლარს ითხოვთ გადასახდელს ვერ გავიგე მე“; ,,32 000 (ოცდათორმეტი ათასი) აშშ დოლარი რისი გადასახდელია, მკვდარ კაცს დააკისრეს ჯარიმები.“ (სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერი 11:53:04, 11:53:20 სთ) ადვოკატმა დ. ა.-მ განმარტა, რომ მისმა კლიენტმა სარჩელიდან გაიგო ძმის სხვა უძრავი ქონების შესახებ, კრედიტორმა მოთხოვნის დადგომისას არ დააყენა მოთხოვნა. მოსამართლის შეკითხვაზე ბ. წ. ნაწილობრივ თუ სცნობდა სარჩელს, ადვოკატმა უპასუხა, რომ შესაგებელი მას არ დაუწერია და ბ. წ. რაში სცნობდა თავს დამნაშავედ მისთვის უცნობი იყო, არ იცოდა ვინ დაწერა შესაგებელი და რა ეწერა მასში (სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერი 11:56:29). დ. ა.-ის განმარტებით, გაფორმებული იყო კაბალური ხელშეკრულება, სადაც სარგებელად გათვალისწინებული იყო 36 % და მეორე საკრედიტო ხელშეკრულებით 19 %. სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნები დარღვეული იყო პროცენტთან მიმართებაში, პროცენტი ხელოვნურად იყო გაზრდილი. მოსარჩელისთვის ცნობილი იყო, რომ მოპასუხე გარდაიცვალა 2013 წლის 11 აპრილს, გარდა ამისა სასარჩელო მოთხოვნაში არ იყო მითითებული როდის დადგა მოთხოვნის ვადა. გაფრთხილების წერილი თავმდებმა 2015 წლის აპრილში მიიღო, მეორე წერილს მამკვიდრებლის სახელზე ხელს არავინ აწერდა და აღნიშვნა აქვს გაკეთებული, რომ სავარაუდო მემკვიდრე ბ. წ. იყო. ადვოკატის განმარტებით, კოდექსში არ არსებობდა ნორმა, რომელიც აიძულებდა მემკვიდრეს ქონების მიღებას, მიღებული ქონება არის ცალკე შენობა და ამ ორი ბინის გარეშე მოპასუხემ არაფერი იცოდა, თორემ ამ ბინებზეც მიიღებდა სამკვიდრო ქონებას. სადაო სამკვიდროს მიღებაზე მოპასუხეს ნება არ გამოუვლენია. ადვოკატის განმარტებით, ბრმად როგორ გადაიხდიდნენ 32 000 (ოცდათორმეტი ათასი) აშშ დოლარს, როცა შენობების რეალური ფასი იყო დასადგენი. ასევე სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნის ვადები იყო გაშვებული. ადვოკატმა დ. ა.-მ განაცხადა: ,,რადგან არის ქონება, და გამოჩნდა, მოპასუხე მიიღებს ამ ქონებას, რატომ დაკარგავს, განაცხადს შეიტანს და მიიღებს ქონებას, მართალია ხანდაზმულობის ვადები გაშვებულია, მაგრამ აღიდგენს ვადას კანონით დადგენილი წესით და გაიცემა. პრობლემა დადგება იმაში რა ღირს ქონება და რამდენი უნდა გადაიხადოს მემკვიდრემ. ჩვენ ამაზეც წავალთ, მივიღებთ იმ ქონებას და ამასაც გავაკეთებთ თუ საჭირო იქნება. ეს აუცილებლად უნდა გაკეთებულიყო, აუცილებლად უნდა გაკეთდეს.... აქტივი იმას ნიშნავს რომ ქონების რეალური ფასი უნდა იყოს დადგენილი, იქნება ეს ქონება ღირს 100 000 (ასი ათასი) ან 100 (ასი) ლარი. ბანკს ვისი ქონება გააქვს აუქციონზე? ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს მას მერე, რაც ბ. წ. მიიღებს ქონებას (სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერი 12:08:08).“ ბანკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოთხოვნა ხანდაზმული არ იყო, სესხის გრაფიკს ვადა ახალი გასული ჰქონდა და მათი უფლება იყო, მოთხოვნის ვადაში როცა უნდოდათ მაშინ მიმართავდნენ სასამართლოს სარჩელით. ადვოკატმა უპასუხა, რომ მოთხოვნის ვადები გასული იყო. სასამართლომ განიხილა მორიგების შესაძლებლობა. ბანკის წარმომადგენლის განმარტებით, მორიგება შეუძლებელი იყო, ვინაიდან მოპასუხეს სამკვიდრო მიღებული არ ჰქონდა და ამ ეტაპზე მიმდინარე სამქოალაქო დავაში არ იყო უფლებამოსილი პირი, ვისთანაც მოსარჩელე დადებდა მორიგებას. ქონების მისაღებად ყველაზე მარტივი გზა იყო სასამართლოს გადაწყვეტილება, ან მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა უფლებამონაცვლედ, მემკვიდრედ ცნობის ნაწილში. მოსამართლის შეთავაზებაზე მორიგების პირობად 5 წლიანი გადახდის გრაფიკის გაკეთების

შესახებ, ბ. წ.-მ განმარტა, რომ 500 (ხუთას) აშშ დოლარს ვერ გადაიხდიდა, არ ჰქონდა სტაბილური შემოსავალი, 500 (ხუთასი) აშშ დოლარი 1200 (ათას ორასი) ლარი იყო (სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერი 12:50:02). ბანკის წარმომადგენლის განმარტებით, თუ მოპასუხე სარჩელს ცნობდა და მიიღებდა სამკვიდროს, ბანკი საშუალებას მისცემდა თავად გაეყიდა ბინები და ვალი სრულად დაეფარა. ბ. წ.-ის განმარტებით, ხაშური პატარა ქალაქი იყო და მარტივი არ იყო ბინების გაყიდვა (სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერი 12:55:23). ბანკის წარმომადგენლის განმარტებით, მოპასუხეს უნდა მიეღო ქონება და დანარჩენზე შემდეგ მორიგდებოდნენ, მაგალითად ბანკი 6-7 თვე იძულებით აღსასრულებლად არ მიაქცევდა იპოთეკით დატვირთულ ქონებას. აღნიშნულზე ადვოკატმა დ. ა.-მ განაცხადა, რომ სამკვიდრო ქონება უნდა აღრიცხულიყო ბ. წ.-ის სახელზე, რაც შეეხებოდა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, აღსრულება უნდა შეჩერებულიყო 6-7 თვით (სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერი13:01:36). მოსამართლემ დააზუსტა, რომ პირველ ნაწილში მოპასუხემ სარჩელი ცნო (სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერი13:02:36). მოსამართლემ განაცხადა, რომ დარჩა მეორე მოთხოვნა - სადაო თანხის ოდენობა (სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერი 13:02:46). ადვოკატის განმარტებით, იმ შემთხვევაში თუ რეალიზებული ქონება ვალის დასაფარად საკმარისი არ იქნებოდა, დანარჩენ ნაწილში აღსრულება მიექცეოდა თავმდების ქონებაზე (სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერი13:02:54). ,,მოსამართლე: ანუ სარჩელს სრულად ცნობთ? (სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერი 13:02:55) ადვოკატი დ. ა.: ,,ეგრე გამოდის (სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერი 13:03:31). 32 000 (ოცდათორმეტი ათასი) აშშ დოლარის ნაწილშიც ვცნობთ, უბრალოდ არ მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად და ერთი თხოვნა იქნება ამასთან დაკავშირებით, მხარეები არ გავასაჩივრებთ გადაწყვეტილებას (სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერი 13:05:03).“

6.11 ეთიკის კომისიის შეფასებით, როგორც 2016 წლის 08 სექტემბრის სასამართლოს მთავარი სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერიდან დგინდება საქმეზე NX-XXX-XX, მოსარჩელე - სს ,,პ. ბ.“, მოპასუხე - ბ. წ., დავის საგანი - უფლებამონაცვლედ, მემკვიდრედ ცნობა, თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, მოპასუხე მხარის - ბ. წ.-ის ადვოკატმა დ. ა.-მ სარჩელი სრულად ცნო და ბანკის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, მაშინ როდესაც სასამართლო სხდომის ოქმიდან ნათლად ჩანს, რომ კლიენტი არ ეთანხმება ბანკის მოთხოვნას მისთვის, როგორც უფლებამონაცვლისთვის 32 000 (ოცდათორმეტი) აშშ დოლარის დაკისრების შესახებ. სხდომის ოქმის ელ. ჩანაწერიდან დგინდება, რომ ადვოკატს შესვენება არ მოუთხოვია პოზიციის კლიენტთან შეთანხმების ან სარჩელის ცნობის თანმდევი სამართლებრივი შედეგების განმარტების მიზნით, ხოლო სხდომაზე ადვოკატისა და თავად ბ. წ.-ის განმარტებებიდან გამომდინარე ჩანს, რომ მათ შორის აღნიშნული პოზიცია სხდომამდე შეთანხმებული არ ყოფილა. სარჩელის ცნობის ინიციატივა სხდომის მიმდინარეობისას თავად მოსარჩელე მხარისგან წამოვიდა, მას შემდეგ, რაც დაზუსტა, რომ მორიგების პირობები ბ. წ.-ისთვის მისაღები არ იყო და მათ შორის მორიგება ვერ შედგა. გარდა ამისა, პაექრობის ეტაპზე ადვოკატმა დ. ა.-მ საკუთარი ინიციატივით, კლიენტთან შეთანხმების გარეშე განაცახადა, რომ მხარეები არ გაასაჩივრებდნენ გადაწყვეტილებას და კლიენტთან ერთად ხელი მოაწერა განცხადებას გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ.

6.12 ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა დ. ა.-მ არ იმოქმედა კლიენტის ინტერესების შესაბამისად, კლიენტთან შეთანხმებით, კლიენტთან არ ჰქონია სარჩელის ცნობის შესახებ გადაწყვეტილება შეთანხმებული, არ აუხსნია მისი თანმდევი სამართლებრივი შედეგები, არ აუხსნია გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის თანმდევი სამართლებრივი შედეგები, შესაბამისად,

ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობისა და კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულებები.

6.13 საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. ა.-ის როგორც მოქმედებები, ისე უმოქმედობები წარმოაჩენს მის ხედვას და უარყოფით, არაკვალიფიციურ დამოკიდებულებას პროფესიისადმი. მასში არ წარმოჩინდება კლიენტის უფლებების დაცვის ვალდებულებაზე პასუხისმგებლობის განცდა. ამასთან ეთიკის კომისიასაც გაუჭირდა ადვოკატთან კომუნიკაცია. 2016 წლის ოქტომბრის თვიდან მიმდინარე დისციპლინურ წარმოებაში ადვოკატი არ ჩაერთო. აღნიშნული ნათელს ჰფენს ადვოკატის პროფესიულ კორპორატიულ უარყოფით დამოკიდებულებას, რაც ვნებს კლიენტისა და საზოგადოებისადმი ნდობას, ეწინააღმდეგება პროფესიონალიზმს და უკავშირდება პროფესიის მიმართ თვითნებურ დამოკიდებულებასაც. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით კერძო სარეკომენდაციო ბარათის ან გაფრთხილების გამოყენება ვერ იქნება პროპორციული და ეფექტური პროფესიაში მყოფი სხვა პირების დაცვისათვის საზოგადოებისა და კანონის წინაშე.

6.14 ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატ დ. ა.-ის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის, მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევა. საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად ადვოკატის მიერ განხორციელებულ დისციპლინურ გადაცდომათა შეფასებით, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატს სახდელის სახით უნდა განესაზღვროს გაფრთხილებაზე მეტი, განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

6.15 ეთიკის კომისია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემასუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. კომისიამ გაითვალისწინა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, სიმძიმე და მიიჩნია, რომ სახდელის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპის გათვალისწინებით ადვოკატ დ. ა.-ს სახდელის სახით უნდა განესაზღვროს 6 (ექვსი) თვის ვადით საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. ადვოკატისათვის დადებული სახდელი მიმართულია ადვოკატის პროფესიული ღირსების ამაღლებისაკენ და წარმოადგენს საზოგადოებაში ამ პროფესიისადმი ღირსეული დამოკიდებულების დამკვიდრების გარანტს, რადგან პროფესიულ ავტორიტეტს ქმნის როგორც ყველა ადვოკატის, ასევე ინდივიდუალურად რომელიმე ადვოკატის ეთიკური სტანდარტების დაცვით გაწეული მომსახურება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით; 35-ე მუხლით; ამავე კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლით, მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით, ასევე ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 31-ე

მუხლით, 33-ე მუხლით, 34-ე მუხლით, 35-ე მუხლით, 36–ე მუხლით, 37-ე მუხლით, 40-ე მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N079/16 ადვოკატ დ. ა.-ის /სიითი №/ მიმართ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატს შეუძლია გაასაჩივრის საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. 32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კომისიის წევრი: /გია ტაბლიაშვილი/

კომისიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კომისიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/

კომისიის წევრი: /ნელი ვარდიაშვილი/

კომისიის წევრი: /გიორგი ტურაზაშვილი/

კომისიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კომისიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/

კომისიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კომისიის წევრი: /ხათუნა გრიგალაშვილი/

კომისიის წევრი: /ია გაბედავა/

კომისიის წევრი: /სულხან ონიანი/